საქკაბელი
SAKCABLE

13.04.2022 წელი

13042022-1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

განმცხადებელი: სს."საქკაბელი" (ს/კ:230026888)

დირექტორი: კონსტანტინე ჯანაშვილი

№ 9054
13.04.2022
2/3/06

წარმოგიდგენთ, ჩვენი ორგანიზაციის, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა წარმოებისა და დამუშავების (ელექტროსადენებისა და ელასტიკური ნივთიერებების (პოლივინილქლორიდის წარმოება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებულ სკრინინგის განცხადებას.

სს „საქკაბელის" ელასტიკური ნივთიერებების წარმოებისა და დამუშავების (ელექტროსადენებისა და ელასტიკური ნივთიერებების (პოლივინილქლორიდის) წარმოება)) საწარმოს ექსპლუატაციაზე (ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. №15) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია №10 (15.02.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ნებართვის მფლობელის მიმართვის საფუძველზე, მინისტრის 2021 წლის 11 იანვრის N2-18 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

საწარმოში იგეგმება: ძირითად საამქროში საექსტრუზიო ხაზის (E-120; E-90; E-45) და ლენტის დამდები აპარატის, ალუმინის ადიდვის საამქროში პლასტიკატის წნეხის (E-60) დამატება და თვითმზიდი სადენებისა და პლასტიკატის დამზადების საამქროში ალუმინისა და სპილენძის შიშველი მავთულების შემგრეხი დანადგარის დამატება. ამასთანავე პლასტიკატის დამზადების უბანი აღიჭურვა გამწოვი ვენტილაციითა და მტვერდამჭერით.

რადგან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. იგივე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი, რომელიც მიმდინარე წლის პირველ თებერვალს წარმოდგენილი იქნა სამინისტროში.სამინისტროს 2022 წლის N 1706/01 წერილით გვეცნობა, „რომ სკრინინგის განცხადებაში განხილული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს რიგი საკითხები."

ადმინისტრაციული მისამართი: 0194 თბილისი,
საქართველო, საირმის ქ. #83.
ტელ/ფაქსი: (995 32) 222 14 18
საქართველო, ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. #15
ელ. ფოსტა: Office@sakcable.ge; www.sakcable.ge

TÜV SÜD ISO 9001

გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ გათვალისწინებული იქნა შენიშვნები და წარმოგიდგენთ სკრინინგის შესწორებულ განცხადებას. გთხოვთ დაიწყოთ ადმინისტრაციული წარმოება სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

დანართი: 1.სკრინინგის ანგარიში მატერიალური და ელექტრონული სახით
2.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

დირექტორი

კონსტანტინე ჯანანაშვილი